



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუნდუა თედო გიორგის ძე

დუნდუა თედო გიორგის ძე (დ. 1. IX. 1961, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1996).

1983 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1984-2006 მუშაობდა თსუ-ის საქართველოს ისტ. კათედრაზე, 1997-2002 იყო საქართვ. ისტ. მასწავლებელთა ასოციაციის (თსუ) პრეზიდენტი. 2006-09 - თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ტის საქართვ. ისტორიის ინ-ტის ასოცირებული, 2010-იდან კი სრული პროფესორია.

2006-იდან დღემდე არის ამავე ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ლექტორი ევროპული კვლევების ინ-ტში. სასდ-ს კვლევა ციკლური განვითარების ოდესღაც პოპულ. თეორიის რეანიმაციის ცდაა. ეს არის ახ. კონცეფცია - ციკლური დიალექტიკა, ამავე დროს დედუქციური მეთოდი, რ-ის საშუალებითაც ისტორიკოსი ცდილობს სოც.-ეკონ. ფორმაციის ნებისმიერი გამოვლენის ზუსტ ფიქსაციას.

აღნიშნული მეთოდი პრინციპულად განსხვავებული თეზების ჩამოყალიბების ბაზისად იქცა. მისი ნაშრომი ისტ.-ნუმისმატიკური ტიპისაა; ნუმისმატიკური მასალა მისთვის ერთ-ერთი წყაროა.

თხზ.: კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმისმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1993; საქართველო და დასავლეთი ნუმისმატიკური მასალების მიხედვით, წგ. 1-2, თბ., 1995; ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმისმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს. - 1453), თბ., 1997; ფული საქართველოში, თბ., 2003 (ავტორთა კოლექტივი); ქართული ნუმისმატიკა, თბ., 2006 (თანაავტ. გ. დუნდუა); მითრაიზმი

საქართველოში, თბ., 2010 (თანაავტ. ნ. სილაგაძე); The Cyclic Dialectics, Tb., 1996; The Black Sea - a History of Interactions, Oslo, 2004 (ავტორთა კოლექტივი).
